პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

21

დეკემბერი
კვირა
1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 40-ე წელი

№ 296 (14596)



ხუთწლედი — ვადამდე!

ტყიბულელები შრომითს ვასტეზე

ფლიური დავალება გაანაღდეს

ტყიბული. თორმეტი დღით ადრე უპატაკეს სამშობლოს წლიური გეგმის შესრულება ტყიბულ-ქვანახშირტრესტის (მმართველი ნ. კვინიხიძე) საწარმოთა კოლექტივებმა. სახელოვანმა მეშახტეებმა ხუთწლედის დასაწყისიდან გეგმის გადამეტებით ამოიღეს 127 ათასი ტონა სათბობი. მარტო მიმდინარე წლის თერთმეტი თვის ანგარიშში მიღებულია 586 ათასი მანეთი მოგება.

უკვე მომავალი წლის ანგარიშში შრომობს ტყიბულის თითქმის ყველა შახტი, ერთი თვით ადრე იზეიმეს ახალი წელი ლენინის, სტალინის, ორჯონიკიძის სახელობის შახტებმა.

ტყიბულელ მეშახტეთა ვალდებულებაა წლის ბოლომდე დარჩენილ დღეებში ამოიღონ ასობით ტონა ზეგეგმითი სათბობი და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავზე, 1970 წლის 22 აპრილს გაანაღდონ ხუთწლედის ბოლო წლის ოთხი თვის დავალება.

საწარმოს სიჭაბუკე

სამი ათეული წელია, რაც ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის საწარმოთა რიგებს შეემატა მძლავრი მიწისქვეშა შახტი, რომელიც ი. ბ. სტალინის სახელს ატარებს. ეს საწარმო ამჟამად ყველაზე მექანიზებული შახტია ტყიბულში და შესანიშნავი შრომისმოყვარე კოლექტივი ჰყავს.

— ცხრა წელიწადია, — ამბობს შახტის უფროსი, სამთო ინჟინერი გ. რაზმაძე, — საწარმოს ურნალზე ჩაუქრობლად კიაფობს წითელი ვარსკვლავი — მეშახტეთა შრომითი გამარჯვების სიმბოლო. ამ ხნის მანძილზე მისმა კოლექტივმა არ იცის რა არის ჩამორჩენა. ქვანახშირის პორიზონტებიდან განუწყვეტლად მოედინება საკოქსე ქვანახშირი.

დიდი შრომითი აღმავლობაა ამ დღეებში მოწინავე შახტში. რომელ უბანსაც არ უნდა ესტუმრო, ყველგან იგრძნობა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადება. ვალდებულებით მათ მიმდინარე წლის გეგმის გადამეტებით უნდა ამოეღოთ 16.700 ტონა სათბობი. ეს ვალდებულება და ამასთან წლიური დავალებაც სტალინის სახელობის შახტის სახელოვანმა მშრომელებმა ერთი თვით ადრე შეასრულეს. ამ დღეებში შახტიდან გავიდა ზეგეგმითი სათბობით დატვირთული 50-ე ეშელონი.

აქ ქვანახშირის მოპოვების დავალებას გადაჭარბებით ასრულებს ყველა საექსპლოატაციო უბანი, ცვლა, ბრიგადა. ყველა თავგამოდებით იბრძვის საიუბილეო ხაპატიო სიგელის მოპოვებისათვის. შრომითი ვაზტის დღეებში პირველობას არ თმობს მეორე საექსპლოატაციო უბანი, რომელსაც ახალგაზრდა სამთო სპეციალისტი ლ. კორძაძე ხელმძღვანელობს. ამ უბნის ხანგრძივებიდან ყოველდღიურად ამოდის 200 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი მადანი. უბნის მეშახტეები უკვე მომავალი წლის ანგარიშში მუშაობენ.

ი. ბ. სტალინის სახელობის შახტი განთქმულია ქვანახშირის ნგრევის უბადლო ოსტატობით. ლეგენდარული მეშახტეების, ვეტერანების საუკეთესო ტრადიციებს განაგრძობენ ახალგაზრდები. ერთ-ერთი მათგანია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი მ. ლანჩავა. იგი პირველი გამოეხმაურა რუსთაველი მძახავის ე. კოწოწაშვილის პატრიოტულ თაოსნობას და მეშახტეებს მოუწოდა გაეჩაღებინათ შეჯიბრება სამუშაო დროის ეფექტურად გამოყენებისათვის. ბრიგადის ყველა წევრი ჩაება ამ შეჯიბრებაში. შედეგიც ჩანს: ისინი ახლა ნაკლებ დროს ხარჯავენ შპურების დაბურღვაზე, სანგრევის გადამაგრებასა და სათბობის ტრანსპორტირებაზე. ბევრი მეშახტე 3-4 მომეჯნავე პროფესიებს ფლობს. მ. ლანჩავას მოწინავე ბრიგადამ უკვე გაანაღდა ხუთწლედი და ახლა 1971 წლის ანგარიშში შრომობს.

ასობით მუშა ორმაგად ასრულებს დღიურ ნორმებს. ასეთთა რიცხვში არიან ნოვატორი მეშახტეები ჯ. გოგელაშვილი, ნ. ჯულაყიძე, გ. კუბლაშვილი, დ. ბოჭორიშვილი, რ. აბესაძე, ი. კოჩელაშვილი და მრავალი სხვ. ხერხიდ მათ დაამკვიდრეს კომუნისტური შრომა და ყოფაცხოვრება საწარმოში, სადაც დამკვრელის საპატიო წოდებას ატარებს 4 საექსპლოატაციო უბანი, ექვსი ცვლა, 326 მეშახტე.

მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც ამჟამად შახტის ცხოვრებაში ხდება, ეს არის საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია და მექანიზაცია. ინერგება უახლესი ტექნიკა. შახტი ახალ სიჭაბუკეს განიცდის. აქაურმა მეშახტეებმა ჩვენს ქვეყანაში პირველად აითვისეს ქვანახშირის მოპოვების ახალი პროგრესული მეთოდი — „ბიდრავლიკური ვსება, მიწისქვეშა ხანგრევებში დანერგეს ქვანახშირის ფენის წყლით გაყდენთვის მეთოდი. ამ ორმა ღონისძიებამ აამაღლა მეშახტეთა შრომის ნაყოფიერება, აითვისეს აღმავალი სამთო გამონამუშევრის — გამკვეთის მბურღავი მანქანა, რაც მეტად პროგრესულია. მისი ავტორები არიან ადგილობრივი რაციონალიზატორები ლ. კვინიხიძე, ხ. ხუხუნი და ჯ. ავხაძე.

სახეს იცვლის მიწისქვეშა შახტი-გიგანტი, ახალგაზრდავდება და სულ მალე მწყობრში ჩადგება მისი ახალი — მეოთხესე ჰორიზონტი. მიწის წიაღში წამდაუწუმ გაისმის აფეთქების ხმა, შახტმშენებლები წინ მიიწევენ. გაივლის ცოტა დროც, და მათ წინ გადაიხსნება ქვანახშირის ახალი მძლავრი ფენები „მიწისქვეშა პურის“ ტონები წამოვა ამჟამად მშენებარე სტალინის სახელობის № 2 შახტიდან. ეს იქნება კიდევ ერთი ახალი მიწისქვეშა გიგანტი — ტყიბულის მიწის წიაღის მშვენება და სიამაყე.

ვ. ციბერკაძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ШРОМИТИ ГОГАТИ

ШИОГНАЗЕ რაიონის მშრომელები წარმატებებით ხვდებიან 1970 წელს. მათ ვალდებულებით 28 დეკემბრისათვის სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ 1.820 ტონა ხორცი, ფაქტიურად პირობა ვადაზე 10 დღით ადრე გაანაღდეს. სახელმწიფოს მიეყიდა 1.830 ტონა ხორცი, 4.688 ტონა რძე ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 4.470 ტონისა, 2.838 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 2.550 ცალისა, 3.825 ცენტნერი მატყლი, რაც გეგმის 100 პროცენტს შეადგენს.

„კომუნისტის“ კორ.

მიფრინავს „კოსმოსი-315“

1969 წლის 20 დეკემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-315“.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

(საკვლევი).

სამეცნიერო სესია

აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტები — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალები აწყობენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ბაერთიანებულ სამეცნიერო სესიას თემაზე:

ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმი ამიერკავკასიაში.

სესია მუშაობას დაიწყებს 1969 წლის 28 დეკემბერს, დილის 11 საათზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში (თბილისი, ჩიტაძის ქუჩა № 2).

22 დეკემბერი ენერგეტიკოსის დღე

ზაჰესიდან ენგურჰესამდე

საბჭოთა საქართველომ გიგანტური ნაბიჯი გადადგა ელექტროფიკაციის გზაზე. პირველმა კომუნისტურმა შაბათობამ, რომელიც 1922 წელს ზაჰესის მშენებლობაზე გაიმართა, საფუძველი ჩაუყარა დამკვრელურ შრომას საქართველოს ელექტროფიკაციისათვის. ზაჰესის შემდეგ აშენდა ბევრი ჰიდროელექტრო და თბოელექტროსადგური, და უკვე 1940 წელს მათი სიმძლავრე 1923 წელთან შედარებით 7-ჯერ გაიზარდა.

1969 წელს კი მათმა სიმძლავრემ ორ მილიონ კილოვატს მიაღწია. ეს 77-ჯერ აღემატება 1928 წლის დონეს.

მარტო 1968 წელს საქართველოს ელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს 7 მილიარდ 730 მილიონ კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

შემდინარე წელს ჩვენმა ენერგეტიკოსებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს, ვადაზე ადრე ამუშავეს თბილისის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის რიგით მეექვსე ენერგობლოკი. წარმატებით მიმდინარეობს მძლავრი უნიკალური ელექტროსადგურის მშენებლობა მდინარე ენგურზე.

ჩვენი ენერგეტიკოსების წინაშე დიდი ამოცანებია. ხუთწლედის ბოლოსათვის მათ 1,9-ჯერ უნდა გაზარდონ ელექტროენერგიის გამომუშავება. სოციალისტური შეჯიბრება ამ ამოცანის გადაჭრისათვის თანდათან ფართოვდება.

სარეკორდო მაჩვენებლებით

ენგურჰესის მშენებლებმა ვადაზე ადრე დაამთავრეს ხუთწლედის მეოთხე წლის ბოლო კვარტალი

ზუგდიდი. მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შემაგებიან ენგურჰესის მშენებლები ქნერგეტიკოსთა დღეს. მათ უკვე გაანაღდეს მეოთხე კვარტალის გეგმა. შესრულებულია 9 მილიონ 328 ათასი მანეთის სამუშაო, რაც კვარტალური გეგმის 100,1 პროცენტს შეადგენს. მარტო ნოემბერში მშენებლებმა 3 მილიონ 668 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულეს და თვის გეგმა 125,7 პროცენტით გაანაღდეს.

რეკორდული მაჩვენებლები აქვს ძალოვანი კვანძის სამმართველოს, რომელსაც ა.ა. ცნობილაძე ხელმძღვანელობს. ამ კოლექტივმა ნოემბერში 875 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულა, რაც თვიური გეგმის 380 პროცენტს შეადგენს. 178 პროცენტი — ასეთია ვარდნილაქესების სამმართველოს (უფროსი თ. ჩუბინიძე) მაჩვენებელი. გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე ბვირაბმშენის (უფროსი გ. წულეისკირი) და მექანიზმებულ სამშენაოთა (უფროსი ა. დიაკოვი) სამმართველოებმა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ უბნები, რომლებსაც ლ. ჩიჩილეიშვილი, მ. ჭაკაია და ვ. ჭარბაძე ხელმძღვანელობენ. მომავალი წლის ანგარიშში მუშაობენ ლენინის ორდენოსნების ო. ბლიაძისა და ს. თედღვის, საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის ი. ასლამაზოვის და ვ. ნიშნიფორიძის კომუნისტური შრომის ბრიგადები.

ე. კვირტია.



ენგურზე ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ვარდნილაქეს № 1-ის მშენებლობა (სურათებზე ზემოთ); მარცხნივ — ვარდნილაქეს № 1-ის მერვე უბნის მოწინავე ადამიანები: სამუშაოთა მწარმოებელი ვ. ჭკუასელი, კომპლექსური ბრიგადის წევრი ა. ბიბლაია, დურგალი გ. ეხვაია და სამუშაოთა მწარმოებელი ა. პეტროსიანი.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

19 დეკემბერს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. განიხილეს ფინეთის რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, საფრანგეთში, კოლუმბიაში, ვენესუელაში საბჭოთა საპარლამენტო დელეგაციების, აგრეთვე ინდოეთში ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის ვიზიტების შედეგები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ოფიციალური ვიზიტი ფინეთის რესპუბლიკაში მიმდინარეობდა პრეზიდენტ უ. კეკონენის მიწვევით 14-დან 18 ოქტომბრამდე. ფინეთში ყოფნის დროს, ნათქვამია ნ. ვ. პოდგორნის ინფორმაციაში, საბჭოთა წარმომადგენლებს ფინეთის სახელმწიფოს წარმომადგენლებმა და მოსახლეობამ გულთბილი, მეგობრული მიღება მოუწყეს. მოლაპარაკების დროს ორივე მხარემ კმაყოფილება გამოთქვა საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის კეთილნაყოფიერი განვითარების გამო და რწმენა გამოთქვა, რომ ეს ურთიერთობა კვლავაც გაფართოვდება და განმტკიცდება.

პრეზიდიუმმა მოიწონა ნ. ვ. პოდგორნის საქმიანობა ფინეთის რესპუბლიკაში მისი ოფიციალური ვიზიტით ყოფნის დროს.

პრეზიდიუმის წევრები გაეცნენ კავშირის საბჭოს თავმჯდომარის ი. ვ. სპირიდონოვის ინფორმაციას, რომელიც მეთაურობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციას საფრანგეთში ვიზიტის დროს. აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის ა. პ. ლიაშკოს ინფორმაციას, რომელიც საბჭოთა პარლამენტარების დელეგაციას მეთაურობდა კოლუმბიასა და ვენესუელაში მოგზაურობის დროს. ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ი. პალეცკისმა პრეზიდიუმს მოახსენა ინდოეთში თავისი ვიზიტის შესახებ.

პრეზიდიუმმა მოიწონა დელეგაციების საქმიანობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა და მიიღო ცნობად ი. ი. პალეცკისის ინფორმაცია ნიუ-დელში საპარლამენტშორისო კავშირის 57-ე კონფერენციის სხდომებში სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის დელეგაციის მონაწილეობის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამავე სხდომაზე მიიღეს დადგენილება, რომ სიუბილეო მედალი „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 50 წელი“ შეიძლება დაჯილდოვდნენ სამოქალაქო ომისა და 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის პარტიზანები, განიხილეს მთელი რიგი საწარმოების, სასწავლებლებისა და შემოქმედებითი შუშაკების დაჯილდოების საკითხი.

განიხილეს აგრეთვე უუამდგომლობანი შეწყალების შესახებ და სსრ კავშირის მოქალაქეობის საკითხები. (საკვლევი).

ჯილდოები თავდადებული შრომისათვის

რესპუბლიკის მედიცინის მუშაკებს, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი, ამ დღეებში გადაეცათ სიგელები საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

სიგელების საზეიმო გადაცემა გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. ყეჩაძემ წაიკითხა ბრძანებულებანი.

დაჯილდოებულთ სიგელები გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. მ. ლელაშვილმა.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს ტარსაიძის სახელობის თვალის სნეულებათა რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა გ. რ. თოფურიამ, რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფოს გაყოფილების გამგემ ა. მ. ჟუკოვმა, თბილისის რკინიგზის ტუბერკულოზის სანიტაციურ-ლოზის ხანგრძლივი დისპანსერის მთავარმა ექიმმა გ. ი. ფანიაშვილმა, რომლებმაც მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

მ. მ. ლელაშვილმა გულთბილად და გულითადად მიულოცა დაჯილდოებულებს. მან აღნიშნა, რომ მათ მინდობილი აქვთ ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი სიმდიდრე — საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობა, და რწმენა გამოთქვა, რომ ისინი კვლავაც მთელ ძალ-ღონეს, ცოდნასა და მდიდარ გამოცდილებას მოახმარენ ყველაზე ჰუმანურ და კეთილშობილურ საქმეს — მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას. (საკვლევი).

შემოქმედებითი შეხვედრა

ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელოვნებათმცოდნეთა და მხატვართა თათბირი

19 დეკემბერს ხაზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების შენობაში დამთავრდა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ხელოვნებათმცოდნეთა და მხატვართა შემოქმედებითი შეხვედრა, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა. შეხვედრა მიეძღვნა თემას — „საბჭოთა ხელოვნების ინტერნაციონალური ერთობა და ეროვნული თავისებურება ლენინური პრინციპების შუქზე“.

შეხვედრა, რომელიც სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის სამდივნომ მოაწყო, შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მხატვართა კავშირის საპატიო თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა ე. ჯაფარიძემ.

თათბირის მონაწილეთ მიესალმა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ი. თაქთაქიშვილი.

სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანმა ვ. ზიმენკომ.

შემდეგ საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა ზ. ლეშავაძემ სიტყვა მისცა მოხსენებისათვის ჟურნალ „ტვორჩესტვოს“ პასუხისმგებელ მდივანს ვ. ზინზარს. მისი მოხსენების თემა იყო „საბჭოთა ხელოვნების ინტერნაციონალური ერთობა და ეროვნული თავისებურება ლენინური პრინციპების შუქზე“.

სომხეთის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ვ. მარტიროსიანმა ილაპარაკა სომხური ხელოვნების რეალისტურ ინტერნაციონალურ ტენდენციებზე.

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა, აზერბაიჯანის მხატვართა კავშირის კრიტიკის სექციის თავმჯდომარემ ნ. ბაბიჩმოვა გააკეთა მოხსენება „ეროვნული და ინტერნაციონალური აზერბაიჯანის ფერწერაში“.

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მთავარმა რედაქტორმა, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარმა ბ. ალფასოვმა სიტყვა მისცა ბორის ბაბანოვს, „ტვორჩესტვოს“ ერევნის ბიუროს ხელმძღვანელს, ალ. ბაბაევს, ბაკურ სოსელიას, ალ. ბაბაევს, ბ. ბაბანოვს, ალ. ბაბაევს, ბ. ბაბანოვს, ალ. ბაბაევს, ბ. ბაბანოვს

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლები

ხალხის ჯანმრთელობის დაცვა საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილება უზრუნველყოფს ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული ღონის განუწყვეტელ მაღლებას, შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებას. სსრ კავშირში ხორციელდება სოციალურ-ეკონომიურ და სამედიცინო ღონისძიებათა ფართო სისტემა, რომლებიც ხელს უწყობენ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ღონის ამაღლებას, აგრეთვე ყველასათვის მისაწვდომი უფასო და კვალიფიციური სამედიცინო დახმარება, ფართოვდება გამბალსანსალებელი და სანიტარული ღონისძიებანი, ყოველმხრივ ვითარდება მასობრივი ფიზიკური კულტურა და სპორტი. სოციალისტური საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვას.

საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის დიდმნიშვნელოვანი საფუძველია მედიცინის მეცნიერება, რომელიც განუწყვეტლივ ვითარდება. მეცნიერული გამოკვლევანი მედიცინის დარგში მიზნად ისახავენ ადამიანის ჯანმრთელობისა და სანგრძლივი აქტიური სიცოცხლისათვის ზრუნვას.

სსრ კავშირში ხალხის ჯანმრთელობის დაცვის სისტემამ, რომელიც სოციალიზმის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია, უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ავადობის შემცირება, წინათ გავრცელებული მთელი რიგი ინფექციური დაავადებების ლიკვიდაცია, საერო და ბავშვთა სიკვდილიანობის მკვეთრი შემცირება, ადამიანთა სიცოცხლის სანგრძლივობის მნიშვნელოვანი ზრდა.

მოსახლეობს ჯანმრთელობის დაცვის შემდგომ გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი ურთიერთობის ამ დარგში კანონიერების განმტკიცებას აქტიურად უნდა ემსახურებოდეს ჯანმრთელობის დაცვის საბჭოთა კანონმდებლობა.

ᲙᲐᲠᲘ I

ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

მუხლი 1. საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის ამოცანები

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობა აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობას მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის დარგში, რათა უზრუნველყოს მოქალაქეთა ფიზიკური და სულიერი ძალების ჰარმონიული განვითარება, ჯანმრთელობა, შრომისუნარიანობის მაღალი დონე და სანგრძლივი აქტიური ცხოვრება; თავიდან აიცილოს მოქალაქეებს და შეამციროს ავადობა, კიდევ უფრო შეამციროს ინვალიდობა და სიკვდილიანობა; აღმოფხვრას ის ფაქტორები და პირობები, რომლებიც მავნებელია მოქალაქეთა ჯანმრთელობისათვის.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობას შეადგენენ ეს საფუძვლები და მათი შესაბამისი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის სხვა აქტები.

მუხლი 3. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოვალეობაა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მოგალეობაა. აღნიშნული ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების უფლებამოსილებანი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში განისაზღვრება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

პროფესიული კავშირები, კოოპერაციული ორგანიზაციები, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავიანთი წესდებების (დებულებების) შესაბამისად მონაწილეობენ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფაში სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

სსრ კავშირის მოქალაქენი უნდა უფრთხილდებოდნენ თავიანთ ჯანმრთელობას და საზოგადოების სხვა წევრთა ჯანმრთელობას.

მუხლი 4. მოქალაქეთა უზრუნველყოფა სამედიცინო დახმარებით

სსრ კავშირის მოქალაქენი უზრუნველყოფილი არიან სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებათა ყველასათვის მისაწვდომი უფასო და კვალიფიციური სამედიცინო დახმარებით.

მუხლი 5. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის საფუძვლები

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა სსრ კავშირში უზრუნველყოფილია იმ სოციალურ-ეკონომიური და სამედიცინო-სანიტარიული ღონისძიებების სისტემით, როგორიცაა:

1) ფართო გამაჯანსაღებელ და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელება, განსაკუთრებული ზრუნვა მოზარდი თაობის ჯანმრთელობის დაცვისათვის;

2) წარმოებისა და ყოფაცხოვრებაში სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შექმნა, საწარმოო ტრავმატიზმის, პროფესიულ დაავადებათა მიზეზების, აგრეთვე სხვა იმ ფაქტორების აღმოფხვრა, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ ჯანმრთელობაზე;

3) გარემოს გაჯანსაღების, წყალსატევების, ნიადაგისა და ატმოსფერული ჰაერის სანიტარიული დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება;

4) ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა და სამედიცინო მრეწველობის საწარმოთა ქსელის გეგმიანი განვითარება;

5) ყველა სახეობის სამედიცინო დახმარებაზე მოსახლეობის მოთხოვნილების უფასოდ დაკმაყოფილება; სამედიცინო დახმარების ხარისხისა და კულტურის ამაღლება; დისპანსერული დაკვირვების თანდათან გაფართოება; სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების განვითარება;

6) სტაციონარული მკურნალობის დროს სამკურნალო და დიაგნოსტიკურ საშუალებათა უფასოდ გაცემა და სხვა სახეობის სამედიცინო დახმარების დროსაც სამკურნალო საშუალებათა უფასოდ ან შეღავათიანი პირობებით გაცემის თანდათან გაფართოება;

7) სანატორიუმების, პროფილაქტორიუმების, დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, ტურისტული ბაზებისა და მშრომელთა სამკურნალო და დასასვენებელი სხვა დაწესებულებების ქსელის გაფართოება;

8) მოქალაქეთა ფიზიკური და ჰიგიენური აღზრდა; მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება;

9) მეცნიერების განვითარება, გეგმიანი მეცნიერული კვლევა, ჯანმრთელობის დაცვის მეცნიერული კადრებისა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება;

10) ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა საქმიანობაში მეცნიერების, ტექნიკისა და სამედიცინო პრაქტიკის მიღწევათა გამოყენება; ამ დაწესებულებათა აღჭურვა უახლესი აპარატურით.

11) მოსახლეობის კვების მეცნიერულ-ჰიგიენური საფუძვლების განვითარება;

12) საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების ფართო მონაწილეობა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში.

მუხლი 6. სსრ კავშირის კომპეტენცია ჯანმრთელობის დაცვის დარგში

ჯანმრთელობის დაცვის დარგში სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების კომპეტენციაში შედის:

1) ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელების საერთოსაკავშირო გეგმების დადგენა;

2) მეცნიერული კვლევის განვითარების, სამედიცინო დანიშნულების ახალი პრეპარატების და მოწყობილობის შემუშავების, ამ კვლევისა და სამუშაოთა კოორდინაციის, მედიცინის პრაქტიკაში მეცნიერების მიღწევების, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის ახალი მეთოდების დანერგვის საერთოსაკავშირო გეგმების დადგენა;

3) სამედიცინო და ფარმაცევტული განათლების განვითარების, უმაღლესი სამედიცინო და ფარმაცევტული სასწავლებლების კურსდამთავრებული სპეციალისტების განაწილების, მეცნიერული კადრების მომზადებისა და მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა დახელოვნების; სამედიცინო და ფარმაცევტულ წოდებათა დადგენის, მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა მომზადების ზადების საერთოსაკავშირო გეგმების დადგენა;

4) მოკავშირე რესპუბლიკების, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს შორის სამედიცინო მრეწველობის პროდუქციის წარმოებისა და განაწილების, მედიკამენტების, სამედიცინო ტექნიკის ხაზინისა და სამედიცინო დანიშნულების სხვა ნაწარმის იქსპორტისა და იმპორტის საერთოსაკავშირო გეგმების დადგენა;

5) სამედიცინო მრეწველობის დარგში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა დაპროექტებისადმი ერთიან მედიკურ-ტექნოლოგიურ მოთხოვნათა დადგენა; სამედიცინო დანიშნულების პროდუქციის სახელმწიფო და დარგობრივი სტანდარტების, ტექნიკური პირობებისა და ამ პროდუქციის ფასების დამტკიცება; სსრ კავშირში წარმოებული და საზღვარგარეთიდან შემოტანილი სამედიცინო დანიშნულების პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის ორგანიზაცია; ნარკოტიკული ნივთიერებათა წარმოების მოცულობის განსაზღვრა და მათი ბრუნვისა და მოხმარებისადმი კონტროლის ორგანიზაცია;

6) სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელობა; საკავშირო დაქვემდებარების სამედიცინო მრეწველობის საწარმოების, ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციებისა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, უმაღლესი სამედიცინო და ფარმაცევტული სასწავლებლების, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტების მართვა;

7) საკავშირო-საკავშირო სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ ღონისძიებათა და ნორმების დამტკიცება; სსრ კავშირის ტერიტორიის სანიტარული დაცვის ღონისძიებათა განხორციელება საკარანტინო დაავადებათა შემოტანის თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე სანიტარიულ-ეპიდემიური კეთილდღეობისა და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთოსაკავშირო ღონისძიებათა, სანიტარიული დაცვის ღონისძიებათა განხორციელება;

8) მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების მოწყობილობით, ინვენტარითა და ტრანსპორტით აღჭურვის ნორმატივების, მედიკამენტების ხარჯვის ნორმების დამტკიცება; სამკურნალო-პროფილაქტიკურ და ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებებში მყოფ პირთა კვების ნორმების დამტკიცება;

9) ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ერთიანი ნომენკლატურისა და მათ შესახებ ტიპობრივ დებულებათა დამტკიცება; ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა სამედიცინო, ფარმაცევტული, ინჟინერ-ტექნიკური, პედაგოგიური და სხვა პერსონალის სამტატო ნორმატივების განსაზღვრის წესის დადგენა;

10) ძირითად დებულებათა დადგენა, რომლებიც განსაზღვრავენ შრომისუნარიანობის ექსპერტიზის, სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზების ორგანიზაციისა და წარმოების წესს;

11) ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებსა და დაწესებულებებში ერთიანი სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემის დადგენა;

12) ჯანმრთელობის დაცვის სხვა იმ საკითხების გადაჭრა, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციისა და ამ საფუძვლების შესაბამისად შედის სსრ კავშირის გამგებლობაში.

მუხლი 7. მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენცია ჯანმრთელობის დაცვის დარგში

მოკავშირე რესპუბლიკის — მისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში სახელმწიფო მმართველობის ორგანოების გამგებლობას ექვემდებარება ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისა და გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელების რესპუბლიკური გეგმების დადგენა, მოკავშირე რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელობა, კანონმდებლობის აქტების მიღება ჯანმრთელობის დაცვის დარგში, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის საქმის ხელმძღვანელობის იმ სხვა საკითხების გადაჭრა, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციის, მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციისა და ამ საფუძვლების შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკის გამგებლობაში შედის.

მუხლი 8. ჯანმრთელობის დაცვის ხელმძღვანელობა სსრ კავშირში

ჯანმრთელობის დაცვის საქმის ხელმძღვანელობას სსრ კავშირის კონსტიტუციის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციათა შესაბამისად ახორციელებენ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები და სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ჯანმრთელობის დაცვას, როგორც წესი, ხელმძღვანელობს მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების საშუალებით და მართავს უშუალოდ მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები ჯანმრთელობის დაცვას ხელმძღვანელობენ ავტონომიური რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებისა და მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების საშუალებით და მართავენ უშუალოდ მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს, მათს ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაცვის, მედიცინის მეცნიერების მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის და მოსახლეობისათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხისათვის.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები ხელმძღვანელობენ მათდამი დაქვემდებარებულ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებსა და დაწესებულებებს, ახორციელებენ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელის განვითარების, მათი სწორად განლაგებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ორგანიზაციის ღონისძიებების, კოორდინაციისა და კონტროლს უწევენ ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობის იმისათვის, რომ შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, სანიტარიული კეთილდღეობის უზრუნველყოფის, მშრომელთა დასვენების ორგანიზაციის, ფიზიკური კულტურის განვითარების, გარემოს დაცვისა და გაჯანსაღების დარგში, აგრეთვე კონტროლს უწევენ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის შესრულებას.

მუხლი 9. ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა საქვეუწყებობა

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებისა და მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების გამგებლობაში არიან.

სხვა სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს თავიანთი გამგებლობაში ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებართვით და მოვალენი არიან მართონ ისინი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ჯანმრთელობის დაცვის იმ დაწესებულებათა საქმიანობას, რომლებიც მის სისტემაში არ შედიან, ათანხმებს სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების, მოსახლეობის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მომსახურების, საკარანტინო და სხვა ინფექციურ დაავადებათა შემოტანისა და გავრცელებისაგან სსრ კავშირის ტერიტორიის დაცვის საკითხებზე, აგრეთვე კონტროლს უწევს ამ საქმიანობას.

მუხლი 10. ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა, სბპავშვო დაწესებულებათა და სპორტულ ნაგებობათა ქსელის განვითარება

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ქსელის განვითარება და მათი განლაგება უნდა ხორციელდებოდეს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების დადგენილი ნორმატივების საფუძველზე და ქვეყნის რაიონების ეკონომიურ, გეოგრაფიულ და სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით.

დასახლებული პუნქტების, საცხოვრებელი მასივების, საწარმოებისა და სხვა ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ჯანმრთელობის დაცვის საჭირო დაწესებულებების, სკოლამდელ ბავშვთა და სკოლისგარეშე დაწესებულებების, სკოლების სპორტულ შენობათა და ნაგებობათა მშენებლობა.

მუხლი 11. ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა საქმიანობის ორგანიზაციის წესი

სამკურნალო-პროფილაქტიკური, სანიტარიულ-პროფილაქტიკური და საგფთიაქო დაწესებულებების საქმიანობის ორგანიზაციის წესის ძირითად დებულებებს აგენენ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

ᲙᲐᲠᲘ II

ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲓᲐ ᲤᲐᲠᲛᲐᲪᲔᲕᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ

მუხლი 12. სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობა.

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის გაწევა შეუძლიათ პირებს, რომლებსაც მიღებული აქვთ სპეციალური მომზადება და წოდება სსრ კავშირის შესაბამის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სსრ კავშირში, მიღებული აქვთ სპეციალური მომზადება და წოდება სსრ კავშირის შესაბამის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, შეუძლიათ ეწეოდნენ სამედიცინო და ფარმაცევტულ საქმიანობას სსრ კავშირის ტერიტორიაზე მიღებული სპეციალობისა და წოდების შესაბამისად.

პირებს, რომლებმაც სამედიცინო ან ფარმაცევტული მომზადება და წოდება მიიღეს უცხოეთის სახელმწიფოთა შესაბამის სასწავლებლებში, სსრ კავშირში სამედიცინო ან ფარმაცევტული საქმიანობა შეუძლიათ სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკრძალულმა სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობა პირებს, რომლებიც დამნაშავენ ამ საქმიანობისათვის დადგენილი წესით.

უკანონო ექიმობისათვის პასუხისმგებლობა წესდება მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

მუხლი 13. ექიმის ფიცი

სსრ კავშირის მოქალაქენი, რომლებმაც დაამთავრეს სსრ კავშირის უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლები და მიიღეს ექიმის წოდება, დებენ საბჭოთა კავშირის ექიმის ფიცს.

ფიცის ტექსტსა და მისი დადების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 14. მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა პროფესიული მოვალეობანი, უფლებანი და შეღავათები.

მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა ძირითად პროფესიულ მოვალეობებსა და უფლებებს, აგრეთვე აღნიშნული მუშაკებისათვის მინიჭებულ შეღავათებს ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მედიცინის, ფარმაცევტიკისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების ცალკეული სპეციალობების სხვა მუშაკთა პროფესიულ მოვალეობებსა და უფლებებს განსაზღვრავს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

ექიმებისა და მედიცინის სხვა მუშაკების პროფესიულ უფლებებს, სახელსა და ღირსებას იცავს კანონი.

მუხლი 15. მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა პროფესიული ეთიკის სრულყოფა

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოს ვალებად შეიმუშაონ და განახორციელონ მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა სპეციალიზაციისა და პროფესიული ეთიკის სრულყოფის ღონისძიებანი, რაც ხორციელდება იმ გზით, რომ ისინი დახელოვნების ინსტიტუტებსა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა შესაბამის დაწესებულებებში პერიოდულად გადიან მოზზადებას.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები მოვალენი არიან მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკებს შეუქმნან საჭირო პირობები სისტემატური მუშაობისათვის მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა ატესტაციის წესს ადგენს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო მედიცინის მუშაკთა პროფესიული კავშირის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად.

მუხლი 16. საექიმო საიდუმლოების დაცვის მოვალეობა

ექიმებსა და მედიცინის სხვა მუშაკებს უფლება არა აქვთ გასცნენ პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს ავადმყოფის სენის, ინტიმური და ოჯახური ცხოვრების შესახებ გაგებული ცნობები.

იმ შემთხვევებში, როცა ამას მოითხოვს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ინტერესები, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს, ხოლო საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს — მათი მოთხოვნით, უნდა მიაწოდონ ცნობები მოქალაქეთა სენის შესახებ.

მუხლი 17. მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკთა პასუხისმგებლობა პროფესიულ მოვალეობათა დარღვევისათვის

მედიცინისა და ფარმაცევტიკის მუშაკებს, რომლებიც არღვევენ პროფესიულ მოვალეობებს, ეკისრებათ კანონმდებლობით დადგენილი დისციპლინარული პასუხისმგებლობა, თუ ეს დარღვევა კანონით არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ᲙᲐᲠᲘ III

ᲛᲝᲡᲐᲡᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲘᲣᲚ-ᲔᲞᲘᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ

მუხლი 18. მოსახლეობის სანიტარიულ-ეპიდემიური კეთილდღეობა

სსრ კავშირის მოსახლეობის სანიტარიულ-ეპიდემიურ კეთილდღეობას უზრუნველყოფს კომპლექსური სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიისსაწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელება და სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სისტემა.

სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიისსაწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელება გარემოს გაჯანსაღებისა ღონიკიდაციისა და თავიდან აცილებისათვის, მოსახლეობის შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების გაჯანსაღებისა და ავადმყოფობათა თავიდან აცილებისათვის ყველა სახელმწიფო ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის, კოლმეურნეობის, პროფესიული კავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოვალეობაა.

სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიისსაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების დარღვევა იწვევს დისციპლინარულ, ადმინისტრაციულ ან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 19. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოები

სანიტარიულ-ეპიდემიისსაწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელების, სახელმწიფო ორგანოების, აგრეთვე ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციათა, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მიერ სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიისსაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების დაცვისადმი სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობა ეკისრება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებისა სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოებსა და დაწესებულებებს.

სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოებსა და დაწესებულებებზე ეკისრებათ პასუხისმგებლობა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ინსტრუქციებისა და ნორმატივების ზუსტ შესრულებაზე.

მუხლი 20. დასახლებული პუნქტების დაპროექტებისა და განაშენიანებისადმი წაყენებული სანიტარიული მოთხოვნები

დასახლებული პუნქტების დაგეგმვა და განაშენიანება უნდა ითვალისწინებდეს მოსახლეობის ცხოვრებისა და ჯანმრთელობის ყველაზე ხელშემწყობი პირობების შექმნას.

საცხოვრებელი მასივები, საბრეწველო საწარმოები და სხვა ობიექტები ისე უნდა განლაგდეს, რომ გამორიცხული იყოს მავნე ფაქტორების ცუდი გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობასა და მისი ცხოვრების სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო პირობებზე

ქალაქებისა და ქალაქების ტიპის დაბების დაპროექტებისა და მშენებლობის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს: წყალმომარაგება, კანალიზაცია, ჭუჭის საფარის მოწყობა, გამწვანება, განათება, სანიტარიული წმენდის უზრუნველყოფა და სხვა სახეობათა კეთილმოწყობა.

მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის, დაპროექტების ნორმების, დასახლებული პუნქტების დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტების დამტკიცების, საცხოვრებელი სახლების კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობების, სარეწველო და სხვა საწარმოებისა და ნაგებობების საექსპლოატაციოდ გადაცემის დროს აუცილებელია სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოების დასკვნა.

სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოებთან საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროექტების შეთანხმების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

მუხლი 21. სამრეწველო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო გადანაყარისა და ნარჩენებისაგან დასუფთავებისა და მათი გაუვნებლების ღონისძიებათა უზრუნველყოფა

საწარმოთა და დაწესებულებათა, საპროექტო, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა გამგეობები გალდებული არიან საწარმოთა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტთა და პროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლოატაციის დროს გაითვალისწინონ და განახორციელონ ღონისძიებანი ატმოსფერული ჰაერის, წყალსატევების, მიწისქვეშა წყლებისა და ნიადაგის გაჭუჭყიანების თავიდან აცილებლად და ამ მოგალეობის შეუსრულებლობისათვის ეკისრებათ პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

აკრძალულია ამბალი და რეკონსტრუირებული საწარმოების, საამქროების, უნებების, დანადგარებისა და სხვა ობიექტების ამუშავება, რომლებიც არ უზრუნველყოფენ მავნე გადანაყარისა და ნარჩენების ეფექტიან გაწმენდას, გაუვნებლებასა და დაჭერას.

სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოებს უფლება აქვთ აკრძალონ ან დროებით შეაჩერონ ის მოქმედი ობიექტების ექსპლოატაცია, რომელთა გადანაყარის, ნარჩენების შეუძლიათ ზიანი მიაყენონ ადამიანის ჯანმრთელობას.

მუხლი 22. სანიტარიული მოთხოვნები საცხოვრებელ სახლებში შესახლებისადმი

საცხოვრებელ სახლებში შესახლებისადმი სანიტარიულ მოთხოვნებს აწესებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

არ შეიძლება ისეთი სახლებში შესახლება, რომლებიც არ შეესაბამებიან სანიტარიულ მოთხოვნებს, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით იმ პირებს, რომლებსაც აქვთ მძიმე ფორმის ზოგიერთი ქრონიკული დაავადება, ეძლევათ დამატებითი საცხოვრებელი ფართობი.

მუხლი 23. საწარმოო სათავსების, საცხოვრებელი და სხვა შენობებისა და ტერიტორიების მოვლის სანიტარიული წესების დაცვა

საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ საწარმოო სათავსებისა და სამუშაო ადგილების მოვლა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების შესაბამისად.

საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები უნდა უზრუნველყოფდნენ საჭირო პირობებს მუშაკთა სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებისა და იმ ტერიტორიების მოვლის სანიტარიული წესების დაცვას, სადაც ეს შენობებია განლაგებული, ახორციელებენ შესაბამისი საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, მოქალაქეები, რომელთა გამგებლობაში, სარგებლობაში თუ საკუთრებაშია ეს შენობები.

საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობათა შენახვის სანიტარიული წესების დაცვისა და დასახლებული პუნქტების სათანადო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფის საერთო ღონისძიებათა განხორციელება ევალებათ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს. ქუჩების, ეზოებისა და დასახლებული პუნქტების სხვა ტერიტორიების მოვლის სანიტარიული წესების დაცვისადმი ზედამხედველობას ახორციელებენ მილიცია და სანიტარიული შედამხედველობის ორგანოები.

მუხლი 24. ხმაურის თავიდან აცილება და აღკვეთა

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სხვა სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ახორციელებდნენ ღონისძიებებს ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების საწარმო, საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებში, ეზოებში, ქუჩებში და მოედნებზე ხმაურის თავიდან აცილებისათვის, მისი ინტენსივობის შემცირებისა და აღკვეთისათვის.

საყოფაცხოვრებო პირობებში ხმაურის თავიდან აცილებისა და აღკვეთის წესების დაცვა ყველა მო

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლები

(დასასრული)

რომლებიც ნებადართულია სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ.

ავადმყოფის განკურნების ინტერესებისათვის — და მისი თანხმობით, ხოლო თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველ ავადმყოფთა მიმართ და ფსიქიკურ ავადმყოფთა მიმართ, — მათი შობლების, მეურვეებისა თუ მზრუნველების თანხმობით ექიმს შეუძლია გამოიყენოს ახალი, მეცნიერულად დასაბუთებული, მაგრამ ჯერ კიდევ საყოველთაო ხმარებაში გამოუყენებელი დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკის, მკურნალობის მეთოდები და სამკურნალოწამლო საშუალებანი. დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკის, მკურნალობის აღნიშნული მეთოდებისა და სამკურნალოწამლო საშუალებათა გამოყენების წესს ადგენს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

მუხლი 35. ქირურგიული ჩარევისა და დიაგნოსტიკის რთული მეთოდების გამოყენების წესი

ქირურგიული ოპერაციები, აგრეთვე დიაგნოსტიკის რთული მეთოდების გამოყენება ხდება ავადმყოფთა თანხმობით, ხოლო თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველი ავადმყოფებისა და ფსიქიკური ავადმყოფების მიმართ მათი შობლების, მეურვეებისა თუ მზრუნველების თანხმობით, გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციები და დიაგნოსტიკის რთული მეთოდები თვით ავადმყოფების ან მათი შობლების, მეურვეებისა თუ მზრუნველების თანხმობის გარეშე ექიმების მიერ სრულდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დიაგნოზის დადგენისა და ოპერაციის გაკეთების საფრთხე უქმნის ავადმყოფის სიცოცხლეს, ხოლო აღნიშნულ პირთა თანხმობის მიღება შეუძლებელია.

მუხლი 36. პროფილაქტიკისა და მკურნალობის სპეციალური ღონისძიებანი

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები ვალდებული არიან განახორციელონ სპეციალური ღონისძიებანი იმ დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის, რომლებიც საფრთხეს უქმნის ავადმყოფის სიცოცხლეს, ხოლო აღნიშნულ პირთა თანხმობა მიღება შეუძლებელია.

მუხლი 37. მედიცინის მუშაკთა ხელშეწყობა მოქალაქისათვის სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების გაწევის საქმეში

საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მოწყობისათვის აღმინისტრაცია ვალდებულია გამოჰყოს საჭირო სათავსები და ტრანსპორტი, აგრეთვე ექიმებსა და სხვა მედიცინის მუშაკებს ხელი შეუწყოს მათი პროფესიული მოვალეობის შესრულებაში.

მწარმოელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და სხვა თანამდებობის პირნი ვალდებულნი არიან შეუწყონ ხელი მედიცინის მუშაკებს მოქალაქეთათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საქმეში, მისცენ მათ ტრანსპორტი, კავშირგაბმულობის საშუალებანი, გაუწიონ სხვა საჭირო დახმარება.

იმ შემთხვევებში, რაც ავადმყოფის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, ექიმს, ან მედიცინის სხვა მუშაკს შეუძლია უფასოდ გამოიყენოს ამ თუ იმ დაწესებულებაში არსებული ყოველი სახეობის ტრანსპორტი ავადმყოფთან მისასვლელად ან უახლოეს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში მისი ტრანსპორტირებისათვის.

ᲙᲐᲠᲘ V

ᲓᲔᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

მუხლი 38. დედობის წახალისება, დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები

დედობას სსრ კავშირში სახელმწიფო იცავს და ახალისებს.

დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვას უზრუნველყოფს ქალთა კონსულტაციების, სამშობიარო სახლების, ორსული ქალებისა და ბავშვიანი დედების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების, ბაგების, ბაღებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა ფართო ქსელის ორგანიზაცია, ორსულობისა თუ მშობიარობის გამო ქალისათვის შვებულების მიცემა და ამასთანავე სოციალური დაზღვევით დახმარების გაცემა, შესვენების დაწესება მუშაობაში ბავშვის ძუძუს წოვებისათვის; დადგენილი წესით დახმარების გაცემა ბავშვის დაბადების გამო და დახმარების გაცემა ავადმყოფი ბავშვის მოვლის დროს; მეძიძე და ჯანმრთელობისათვის მავნე წარმოებებში ქალთა შრომის გამოყენების აკრძალვა, ორსული ქალების გადაყვანა უფრო იოლ სამუშაოზე საშუალო ხელფასის შენარჩუნებით; შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესება და ჯანმრთელობა; ოჯახისადმი სახელმწიფო და საზოგადოებრივი დახმარება, აგრეთვე სხვა ღონისძიებანი იმ წესით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით.

ქალის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით მას უფლება ეძლევა თვითონ გადაწყვიტოს დედობის საკითხი.

მუხლი 39. ორსული ქალებისა და ახალშობილთა უზრუნველყოფა სამედიცინო დახმარებით

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი თვითეული ქალისათვის უზრუნველყოფენ კვალიფიციურ სამედიცინო მეთვალყურეობას ორსულობის მიმდინარეობისადმი, სტაციონარულ სამედიცინო დახმარებას მშობიარობის დროს და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დახმარებას დედისა და ახალშობილი ბავშვისათვის.

მუხლი 40. ბავშვებისა და მოზარდების უზრუნველყოფა სამედიცინო დახმარებით

ბავშვებისა და მოზარდების სამედიცინო დახმარებას უზრუნველყოფენ სამკურნალო-პროფილაქტიკური და გამაჯანსაღებელი დაწესებულებანი: ბავშვთა პოლიკლინიკები, დისპანსერები, საავადმყოფოები, სანატორიუმები და ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებანი. საბავშვო სანატორიუმების საგზურები ბავშვებს უფასოდ ეძლევათ.

ბავშვებისა და მოზარდებისადმი დაწესებულია დისპანსერული მეთვალყურეობა.

მუხლი 41. ზრუნვა ბავშვებისა და მოზარდების ჯანმრთელობის განმტკიცებისა და დაცვისათვის

ჰარმონიულად განვითარებული ფიზიკური და სულიერი ძალების მქონე ჯანსაღი ახალგაზრდა თაობის აღზრდის მიზნით სახელმწიფო ორგანოები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, პროფესიული კავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები უზრუნველყოფენ საბავშვო ბაღებისა და ბაღების, სკოლების, სკოლა-ინტერნატების, დღის სკოლების, პიონერთა ბანაკებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა ფართო ქსელის განვითარებას.

ბავშვებისათვის, რომლებიც იზრდებიან საბავშვო დაწესებულებებში და სწავლობენ სკოლებში, უზრუნველყოფილია ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და განმტკიცების და ჰიგიენური აღზრდის საჭირო პირობები. ბავშვთა სასწავლო-შრომითი დატვირთვა, აგრეთვე მეცადინეობის სანიმუშო რეჟიმი განისაზღვრება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვასა და საბავშვო დაწესებულებებსა და სკოლებში გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებას კონტროლს უწევენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები და დაწესებულებანი სახალხო განათლების ორგანოებთან და დაწესებულებებთან ერთად საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით.

მუხლი 42. სახელმწიფო დახმარება მოქალაქეებს ბავშვთა მოვლაში. შეღავათები, რომლებიც ეძლევათ დედებს ბავშვთა ავადმყოფობის შემთხვევაში

ბაგებში, ბაღებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში ბავშვთა შენახვის ძირითადი ხარჯები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, პროფესიული კავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრებიდან.

ფიზიკური თუ ფსიქიკური განვითარების დეფიციტების მქონე ბავშვები სახელმწიფო ხარჯზე ცხოვრობენ ბავშვის სახლებში, საბავშვო სახლებსა და სხვა სპეციალიზებულ საბავშვო დაწესებულებებში.

როცა შეუძლებელია ავადმყოფი ბავშვის ჰოსპიტალიზაცია, ან არ არის ჩვენებანი მისი სტაციონარული მკურნალობისათვის, დედა ან ოჯახის სხვა წევრი, რომელიც ბავშვს უვლის, შეიძლება გაათავისუფლონ სამუშაოდან და მისცენ დახმარება სოციალური დაზღვევით დადგენილი წესით.

ერთ წლამდე ბავშვების, აგრეთვე უფროსი ასაკის მძიმედ ავადმყოფი ბავშვების სტაციონარული მკურნალობის დროს, რომელსაც ექიმების დასკვნით დედის მოვლა სჭირდებათ, დედას შეუძლია ბავშვთან ერთად იყოს სამკურნალო დაწესებულებაში და ეძლევა დახმარება სოციალური დაზღვევით დადგენილი წესით.

მუხლი 43. კონტროლი მოზარდთა შრომითი და საწარმოო სწავლებისადმი და შრომის პირობებისადმი

მოზარდთა საწარმოო სწავლება ნებადართულია იმ პროფესიებში, რომლებიც შეესაბამება მათს ასაკს, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და ჯანმრთელობის მდგომარეობას. შრომითი და საწარმოო სწავლება ხორციელდება სისტემატური სამედიცინო კონტროლით.

კონტროლს მოზარდთა შრომის იმ პირობების დაცვისადმი, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით; აგრეთვე იმ სპეციალურ ღონისძიებათა განხორციელებისადმი, რომელთა მიზანია მოზარდთა დაავადების თავიდან აცილება, ახორციელებენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები და დაწესებულებანი პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოებთან, სახალხო განათლების ორგანოებთან, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად.

ᲙᲐᲠᲘ VI

სანატორიულ-საკურორტო მკურნალობა, დასვენების, ტურიზმისა და ფიზიკური კულტურის ორგანიზაცია

მუხლი 44. მოქალაქეთა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობა

სსრ კავშირის ყველა კურორტზე და სანატორიუმში სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობისათვის ჩვენებასა და საწინააღმდეგო ჩვენებას აწესებს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისათვის ავადმყოფობის სამედიცინო შერჩევისა და გაგზავნის წესს ადგენს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით. დადგენილი წესის შესაბამისად ავადმყოფებს სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებში გზავნიან უფასოდ, შეღავათიანი პირობებით ან ახდენენ სრულ ფასს.

მუხლი 45. კურორტები და სანატორიული დაცვის ოლქები

კურორტებად შეიძლება ჩაითვალოს ის ადგილები, სადაც არის ბუნებრივი სამკურნალო საშუალებანი, მინერალური წყაროები, სამკურნალო ტალახები, კლიმატური და სხვა პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ მკურნალობასა და პროფილაქტიკას.

ადგილის მიჩნევას კურორტად, კურორტების სანიტარიული დაცვის ოლქების საზღვრების დადგენასა და მათი რეჟიმის განსაზღვრას ახორციელებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ან მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოს ან მოკავშირე რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ერთობლივი წარდგინებით, რაც შეთანხმებული უნდა იყოს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ეს კურორტი.

მუხლი 46. სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა შექმნა და გახსნა

სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა შექმნა და გახსნა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოს ნებართვით მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით.

სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა სპეციალიზაციას (სამედიცინო პროფილს) განსაზღვრავენ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და საკავშირო პროფსაბჭო.

მუხლი 47. სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაცია

სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაციას, სამკურნალო საშუალებათა და საკურორტო ფაქტორების გამოყენებისა და სანატორიულ-საკურორტო რეჟიმის ორგანიზაციის დარგში უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ახორციელებენ კურორტების მართვის შესაბამისი ორგანოები.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები ახორციელებენ კონტროლს სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზაციისადმი სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებებში, აგრეთვე უწევენ მათ სამეცნიერო-მეთოდიკურ დახმარებასა და კონსულტაციებს.

მუხლი 48. დასასვენებელი სახლებით, პანსიონატებით, ტურისტული ბაზებითა და სხვა დასასვენებელი დაწესებულებებით სარგებლობა

დადგენილი წესის შესაბამისად მოქალაქეები დასასვენებელი სახლებით, პანსიონატებით, ტურისტული ბაზებითა და სხვა დასასვენებელი დაწესებულებებით სარგებლობენ უფასოდ, შეღავათიანი პირობებით ან იხდიან სრულ ფასს.

მუხლი 49. ფიზიკური კულტურის, სპორტისა და ტურიზმის ორგანიზაცია

სახელმწიფო ორგანოებმა, პროფესიულმა კავშირებმა, კომკავშირულმა და კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა, სპორტულმა საზოგადოებებმა, საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ მოსახლეობაში ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელ, სპორტულ და ტურისტულ-საექსკურსიო მუშაობას, ფიზიკური კულტურის კოლექტივების, ტურისტული კლუბებისა და ორგანიზაციების შექმნასა და განმტკიცებას, საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვას.

სკოლამდელ ბავშვთა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა მუშაობის გეგმებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდა.

მოქალაქეებს ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მეცადინეობისათვის დადგენილი წესით გამოეყოფათ სპორტული ნაგებობანი, სპორტული ინვენტარი და ტურისტული აღჭურვილობა.

იმ მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, რომლებიც ფიზიკურ კულტურასა და სპორტს მისდევენ, სამედიცინო კონტროლს უწევენ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი.

ᲙᲐᲠᲘ VII

სამედიცინო ექსპერტიზა

მუხლი 50. შრომისუნარიანობის სამედიცინო ექსპერტიზის წარმოება

მოქალაქეთა დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზას ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში აწარმოებს ექიმი ან ექიმთა კომისია, რომლებიც შვებულებას აძლევენ ავადმყოფობისა და სახიჩრობის, ორსულობისა და შობიარობის, ოჯახის წევრის მიერ ავადმყოფის მოვლისა და კარანტინის გამო, პროთეზირებისათვის, სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისათვის, განსაზღვრავენ ავადმყოფობის გამო მუშაკის სხვა სამუშაოზე დროებით გადაყვანის საჭიროებასა და ვადებს დადგენილი წესით, აგრეთვე ღებულებენ გადაწყვეტილებებს საექიმო — შრომითის საექსპერტო კომისიაზე გაგზავნის შესახებ.

შრომისუნარიანობის ხანგრძლივ ან მუდმივი დაკარგვის ექსპერტიზას აწარმოებენ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები, რომლებიც ადგენენ შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხს, ინვალიდობის ჯგუფსა და მიზეზს, განსაზღვრავენ ინვალიდთა შრომას, მუშაობისა და პროფესიის პირობებსა და ხასიათს, რომლებიც მისაწვდომია მათთვის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით; ამოწმებენ, თუ რამდენად სწორად იყენებენ ინვალიდებს სამუშაოზე მიცემული დასკვნების შესაბამისად; ხელს უწყობენ ინვალიდთა შრომისუნარიანობის აღდგენას.

საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების დასკვნები ინვალიდთა შრომის პირობებისა და ხასიათის შესახებ საალდებულოა საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციისათვის.

შრომისუნარიანობის ექსპერტიზის ორგანიზაციისა და წარმოების წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 51. სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზები

სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზები წარმოების სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად მომკვლევი პირის, გამომძიებლის, პროკურორის დადგენილებით, აგრეთვე სასამართლოს განჩინებით.

სასამართლო-სამედიცინო და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ორგანიზაციისა და წარმოების წესს ადგენს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოსთან, სსრ კავშირის პროკურატურასთან, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და სხვა უწყებებთან შეთანხმებით.

ᲙᲐᲠᲘ VIII

სამკურნალო და საპროთეზო დახმარება

მუხლი 52. მოქალაქეთათვის სამკურნალოწამლო დახმარების გაწევის წესი

მოქალაქეებს სამკურნალოწამლო დახმარებას უწევენ სახელმწიფო საყოფიაქო დაწესებულებანი, აგრეთვე სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებანი.

ამბულატორიულ-პოლიკლინიკური მკურნალობის დროს მოქალაქეთა უფასო ან შეღავათიანი პირობებით სამკურნალოწამლო დახმარების უზრუნველყოფის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

საყოფიაქო დაწესებულებებს შეუძლიათ გასცენ მხოლოდ ისეთი სამკურნალოწამლო საშუალებანი, რომლებიც ნებადართულია გამოსაყენებლად სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ.

მუხლი 53. სამკურნალოწამლო საშუალებათა წარმოებისადმი კონტროლის უზრუნველყოფა

სამედიცინო მიზნებისათვის ახალ სამკურნალოწამლო საშუალებათა წარმოება შეიძლება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნებართვით მათი სამკურნალო თუ პროფილაქტიკური ეფექტიანობის დადგენის შემდეგ.

სამკურნალოწამლო საშუალებათა ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სსრ კავშირის სახელმწიფო ფარმაკოპეის ან ტექნიკური პირობების მოთხოვნებს, რომლებიც მტკიცდება დადგენილი წესით.

სამკურნალოწამლო საშუალებათა ხარისხს კონტროლს უწევს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

მუხლი 54. მოქალაქეთათვის საპროთეზო დახმარების უზრუნველყოფა

საჭირო შემთხვევებში მოქალაქეებს უზრუნველყოფენ პროთეზებით, ორთოპედიული, მაკორიგირებელი ნაწარმით, სმენის აპარატებით, სამკურნალო ფიზკულტურის საშუალებებითა და მომსახურეობის სპეციალური საშუალებებით. იმ პირთა კატეგორიებს, რომლებსაც უფასოდ ან შეღავათით უზრუნველყოფენ აღნიშნული ნაწარმითა და საგნებით, აგრეთვე ამ ნაწარმითა და საგნებით უზრუნველყოფის პირობებსა და წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

ᲙᲐᲠᲘ IX

საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი

მუხლი 55. საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით, რომლებშიც სსრ კავშირი მონაწილეობს, დადგენილი წესები განსხვავდება წესებისაგან, რომლებსაც შეიცავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობა, იყენებენ საერთაშორისო ხელშეკრულების ან საერთაშორისო შეთანხმების წესებს.

საბჭოთა საქართველოს ცხოვრებიდან

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 20 დეკემბერი. (საკდესი). პორტუგალიის აგრესიული მოქმედების გამო გვინეის რესპუბლიკის საჩივრის განხილვა გუშინ უშიშროების საბჭოში გადაიჭრა ფორიკაში ლისაბონის პოლიტიკის მრისხანე დაგრობად. ნეპალის, უნგრეთის, იემენის, პაკისტანის, ბულგარეთის, საბჭოთა კავშირის, სიერა-ლეონესა და ზამბიის წარმომადგენლები მტკიცედ მოითხოვდნენ, რომ უშიშროების საბჭოს განეზრახოელებინა ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც იძიულებდა პორტუგალიას ხელი აეღო ფორიკის ქვეყნების მიმართ აგრესიისა და ტერორის პოლიტიკაზე.

უშიშროების საბჭოს წევრებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს სსრ კავშირის წარმომადგენლის ი. ა. მალიკის გამოსვლა.

პორტუგალიელ კოლონიზატორთა უგუნური მოქმედება საფრთხეს უქმნის აფრიკული ქვეყნების უშიშროებასა და აფრიკის მშვიდობას, თქვა ი. ა. მალიკმა. უშიშროების საბჭოსათვის ახლა ცხადია, რომ მათი შეიარაღებული პროვოკაციები დამოუკიდებელი აფრიკული ქვეყნების წინააღმდეგ იზოლირებული ინციდენტები კი არ არის, არამედ პორტუგალიის გარკვეული პოლიტიკური კურსია, რომელიც უკვე მრავალი წლის მანძილზე ომს ეწევა ანგოლის, მოზამბიკის, გვინეის (ბისაუს) ხალხთა წინააღმდეგ. ამავამად კი აფორთოებს ამ ომის მასშტაბს და სფეროს და სისტემატურად შეიარაღებულ თავდასხმებს აწყობს დამოუკიდებელ აფრიკულ სახელმწიფოებზე. პორტუგალიის მოქმედება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესების დიდმნიშვნელოვანი პრინციპების შეუწყნარებელი აბუჩად აგდებაა.

საბჭოთა კავშირი, აღნიშნა ი. ა. მალიკმა, სავსებით იზიარებს აფრიკულ სახელმწიფოთა იმ წარმომადგენლების აზრს, რომლებმაც საერთლიანად აღნიშნეს თავიანთ გამოსვლებში, რომ პორტუგალიის ომისა და ტერორის გაფართოება პორტუგალიის კოლონიების ხალხთა წინააღმდეგ შესაძლო გახდა მხოლოდ იმის შედეგად, რომ პურტუგალიას როგორც ნატოს მილიტარისტული ბლოკის წევრს შესაძლებლობა აქვს მიიღოს თავისი მოკავშირეების სამხედრო და ფინანსური დახმარება, აგრეთვე პოლიტიკური და მორალური მხარდაჭერა.

უშიშროების საბჭოს, ხაზი გაუსვა საბჭოთა დელეგატმა, ყველაზე მკაცრი ღონისძიებანი უნდა განახორციელოს, რომ ალიკვეთოს პორტუგალიის აგრესიული აქციები დამოუკიდებელ აფრიკულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, არ დაუშვან მომავალში ასეთი მოქმედების განმეორება.

□

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

ჰავანა, 20 დეკემბერი. (საკდესი). **ახალი პრეზიდენტი და პანამის მმართველი ხუნტის მეთაური გახდა ინეინერი დემეტრიო ბ. ლაკასი. მეორე წევრად ხუნტისა, რომელიც ორი კაცისაგან შედგება, დამტკიცებულია იურისტი არტურო სუკრე პერერა.**

ამაღე გადაწყვეტილებით, რომელიც გუშინ მიიღო ქვეყნის ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობამ და უმაღლესმა სასამართლომ, თანამდებობიდან მოხსნეს მათი წინამორბედნი — პოლკოვნიკები ხოსე პინილია და ბოლივარ ურეტია 14 დეკემბრის წარუმატებელ გადატრიალებაში მონაწილეობისათვის. გადატრიალების ორგანიზატორები მიზნად ისახავდნენ თანამდებობიდან გადაეყენებინათ ეროვნული გვარდიის მბრძანებლობა, ანუ ბრიგადის გენერალი ომარ ტორიხოსი, რომლის ხელშია პანამის რეალური ძალაუფლება.

ᲛᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲗᲝᲑᲐ

პრაღა, 19 დეკემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ჰუსაკმა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. კადარმა პრაღაში მოლაპარაკებაზე განიხილეს ჩეხოსლოვაკია-უნგრეთის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხები და საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალური პრობლემები. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ი. კადარის ორი დღის მეგობრული ვიზიტის შესახებ კომუნიკეში ხაზგასმულია, რომ ევროპის მშვიდობის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ქვეყნების პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელების ამასწინანდელ შეხვედრას მოსკოვში.

ჩეხოსლოვაკია და უნგრეთი, აღნიშნულია კომუნიკეში, იბრძოლებენ ევროპის დაძაბულობის ლიკვიდაციისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის ატმოსფეროსა და სხვადასხვა სახელმწიფო წყობილების მქონე ევროპის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამყარებისათვის.

ორივე მხარე ადგას ერთ აზრს იმის შესახებ, რომ სოციალისტური ქვეყნების კოორდინირებული და აქტიური მოქმედება ხელს უწყობს ევროპის მოუწესრიგებელი პრობლემების გადაჭრას, მშვიდობიანი თანამშრომლობისა და ხდობის განმტკიცებას მსოფლიოში.

ორივე მხარემ დაადასტურა, რომ გადაწყვეტილი აქვთ თანმიმდევრულად განახორციელონ კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის დასკვნები და განამტკიცონ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთობა.

გ. ჰუსაკმა და ი. კადარმა აღნიშნეს, რომ ამსეობის ხელსაყრელი პირობები ორი მომმე პარტიისა და ქვეყნის ყველა დარგში თანამშრომლობის შემდგომი წარმატებითი განვითარებისათვის.

მოლაპარაკება მეგობრულად, გულოფიად, ანხანაგურ ატმოსფეროში.

ი. კადარი გუშინ ჩეხოსლოვაკიიდან გაეშგზავრა.

□

ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲔᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐᲡ

პრაღა, 20 დეკემბერი. (საკდესი). აქ ხელი მოაწერეს შეთანხმებას 1970 წლისათვის საბჭოთა ორგანიზაციის „ცენტროსოიუზის“ და ჩეხოსლოვაკიის „ოპერატივთა კავშირის „უნიკოოპის“ საქონელგაცვლის შესახებ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

თეირანი, 19 დეკემბერი. (საკდესი). **აქ დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ირანის მეოთხე კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა გულის დაავადებათა პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხებს.**

საბჭოთა ექიმების მიერ კონფერენციაზე წაკითხულმა მოხსენებებმა და მათ მიერ შესრულებულმა ხანგრძლივმა ოპერაციებმა ირანელ სპეციალისტთა მაღალი შეფასება დიმსახურეს.

„კონფერენცია უდიდესი მოვლენა იყო ქვეყნის სამეცნიერო ცხოვრებაში. მან საბჭოთა და ირანელი ექიმები გაამდიდრა თეორიული და პრაქტიკული გამოცდილებით“, — განაცხადა თეირანის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ზიაიმ. მან მადლობა გადაუხადა ირანში მომუშავე საბჭოთა ექიმებს თავდადებული შრომისათვის.

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲦᲐᲕᲔᲡᲜᲘᲜᲔ ᲣᲒᲐᲜᲓᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ

კამპალა, 20 დეკემბერი. (საკდესი). კამპალაში შეეცადნენ თავს დასხმოდნენ უგანდის პრეზიდენტს მილტომ ობოტეს. უგანდის პრეზიდენტს ეპარლეს გუშინ გვიან საღამოს, როცა იგი დედაქალაქის სპორტის სასახლიდან გამოდიოდა. იქ დამთავრდა უგანდის მმართველი პარტიის სახალხო კონგრესის მეხუთე ეროვნული კონფერენცია. მილტონ ობოტე მუშუქად დაჭრეს.

უგანდის სახელმწიფოს მეთაურზე გუშინდელი თავდასხმის შემდეგ ქვეყანაში საგანგებო წესებია შემოღებული. აიერაკა ოპოზიციური პარტიები. კამპალის ქუჩებში პატრულობენ არმიისა და პოლიციის რაზმები. ის, ვინც პრეზიდენტს ესროლა, დანაშაულის ადგილზე დაიპატიმრეს.

ᲗᲘᲮᲜᲐᲗ ᲛᲘᲙᲘᲡ ᲗᲔᲝᲓᲝᲠᲐᲙᲘᲡᲘ!

ძვირფასნო მეგობრებო და კოლეგებო!

საბერძნეთის თვალსაჩინო კომპოზიტორი, ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი მუსიკოსი მიკის თეოდორაკისი სამშობლოსა და გადასახლების შემდეგ მოთავსებულ საკონცენტრაციო ბანაკში. იგი ტუბერკულოზით არის დაავადებული. და, უკანასკნელ ცხოვრებით, ავადმყოფობა გაუმწვავდა. მას წაართვეს თავისუფლება, ოჯახი, ხოლო ბერძენ ხალხს — მისი მუსიკა და სიმღერები, ახლა საფრთხე ემუქრება მის სიცოცხლეს.

განა შეგვიძლია ჩვენ, ხელოვნების მოდგაწეებს, გულგრილი ვიყოთ მისი ბედისადმი? განა შეგვიძლია ვდუმდეთ, როცა ნიკითა და შემოქმედებითი ძალებით აღსავსე კომპოზიტორი, რომლის მუსიკაცა და სიმღერებიც მსოფლიოს ყველა კუთხეში გაისმის, ახლა პატიმრობაში იღუპება? ჩვენი ადამიანური და მოქალაქეობრივი ვალი, ხელოვნების წინაშე ვალი მოგვიწოდებს ვიმოქმედოთ.

მივმართავთ ყველა ქვეყნის კომპოზიტორებს, მწერლებს, მხატვრებს, მსახიობებს, იმ ადამიანებს, რომელთა სიტყვას სათანადო ფასი და ავტორიტეტი აქვს როგორც ხალხისათვის, ისე მთავრობებისათვის. მოგმართავთ თქვენ, ბიზეტმან ბრიტენო (ინგლისი), თქვენ, ლუბომირ პიპკოვო (ბულგარეთი), თქვენ, აარონ კოპლენდო (ამერიკის შეერთებული შტატები), ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მუსიკა და პოეზია, ხელოვნება და თავისუფლება.

აღიმაღლეთ ხმა მიკის თეოდორაკისის სიცოცხლისა და თავისუფლების დასაცავად! მოუწოდეთ თქვენი ქვეყნის საზოგადოებრივობას, თქვენს მთავრობებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ განახორციელონ ღონისძიებანი, რომ აინულონ საბერძნეთის ხელისუფალნი გათავისუფლონ საკონცენტრაციო ბანაკიდან მიკის თეოდორაკისი, მისცენ მას მკურნალობისა და თავისუფალი შემოქმედების შესაძლებლობა. წინადადება შემომაქვს შე

სასცენო კადრების სამჭედლო

თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის 30 წლისთავის გამო

მოგვითხრობს ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ილია თავაძე

ლ დეს, როცა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტს თავისი არსებობის 30 წელი უსრულდება, ამ ღირსშესანიშნავ იუბილეზე არ შეიძლება არ გავიხსენოთ ქართული თეატრის დიდი ტრადიციები, რომლის სვებედნიერი სათავე მორეული საუკუნეებიდან მოდის.

ქართველი კაცის ხალასმა ნიჭმა, სიმკვირცხლემ, პლასტიკურობამ, მუსიკალობამ ეროვნულ თეატრში ჰპოვა ნოყიერი ნიადაგი. ამ დიდ შემოქმედებითს ასპარეზზე სრულყოფილად გამობრწყინდა მისი აქტიორული და რეჟისორული შესაძლებლობანი. განა დღეს შეიძლება სიამაყით არ გავიხსენოთ ქართული სცენის დიდი კორიფეები, რომელთა თეატრალური მოღვაწეობა ოქროს ასოებით ჩაიწერა ჩვენი კულტურის მატიანეში!

უმაღლესი სასცენო პროფესიული სასწავლებლის ჩამოყალიბება საქართველოში მრავალი სახელგანთქმული ქართველი თეატრალური მოღვაწის ოცნება იყო. მაგრამ ამ საქმის განხორციელებას ბევრი წინააღმდეგობები ელობებოდა წინ. თუმცა ადრე არსებულმა დრამატულმა სტუდიებმა და თეატრალურმა კურსებმა მცირე როლი როდი შეასრულეს ქართველი ახალგაზრდობის აქტიორული დაოსტატების საქმეში. ჩვენი სცენის მშვენება ლადო ალექსი-მესხიშვილი ჯერ კიდევ 1912 წელს ხელმძღვანელობდა დრამატულ კურსებს. 1920 წელს გ. ჯაბადარმა შექმნა ასეთივე სახის კურსები, ხოლო შემდეგ ა. ფალავა უძღვებოდა 1922 წელს მის მიერვე ჩამოყალიბებულ თეატრალურ სტუდიას. აღსანიშნავია აგრეთვე ვ. მჭედლიშვილის დრამატული სტუდია მოსკოვში (1922 წ.).

1939 წელს თბილისში შეიქმნა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი — პროფესიული უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც დიდი მოვლენა იყო ჩვენი ერის კულტურულ ცხოვრებაში. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ამ დიდ საშვილიშვილო საქმეს საძირკველი ჩაუყარეს და ნიადაგი მოუმზადეს ქართული თეატრის დიდმა მოამაგეებმა.

ქართული თეატრალური კადრების სამჭედლო ამ ოცდაათი წლის განმავლობაში პირნათლად ემსახურება მშობლიურ კულტურას, ზრდის მაღალკვალიფიციურ კადრებს. ინსტიტუტის კედლებში აღზრდილი მრავალი თაობა უკვე კავიდა თეატრალური შემოქმედების დიდ ასპარეზზე და ფართო საზოგადოებრიობის აღიარება მოიპოვა. აქ, თეატრალურ ინსტიტუტში ასწავლიდა და ასწავლის სასცენო ხელოვნებას მრავალი ღვაწლმოსილი თეატრალური მოღვაწე, ვისი მთელი შემოქმედება სანიმუშო მაგალითია ახალგაზრდობისათვის, რომელიც მათგან სწავლობს თეატრალური ტექნიკის მთელ საიდუმლოებას, მშობლიური ხელოვნებისადმი თავდადებულ ერთგულებას და პროფესიულ კეთილსინდისიერებას.

იუბილეს დღეებში მოწიწებით ვიგონებთ ჩვენგან წასული ადამიანების ღვაწლს, რომელიც მშობლიურ ხელოვნებას დასდეს. მათ აღუზარდეს ქართულ თეატრს ბევრი თვალსაჩინო მოღვაწე.

ამჟამად ჩვენთან პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან სცენის დიდოსტატები ა. ხორავა და ა. ვასაძე, ცნობილი რეჟისორი დ. ალექსიძე, რომელიც ისევ დაუბრუნდა თეატრალურ ინსტიტუტს. ახალგაზრდობს მთელი თავის მდიდარ გამოცდილებას გადასცემენ ღვაწლმოსილი პედაგოგები მ. მრევლიშვილი, კ. მეფვინეთუხუცესი, დ. ჯანელიძე, ე. გუგუშვილი, ს. ზიქელაძე, მ. თუმანიშვილი, კ. პატარიძე, გ. სარჩიმელიძე, ს. კიკნაძე, ბ. ნიკოლაიშვილი, ნ. შალუტაშვილი, შ. მაჭავარიანი, მ. ყვარელაშვილი, ნ. ურუშაძე, კ. ბადრიძე, ე. კვლია, რ. მიქელაძე, ა. ფეიდოროვი, თ. კოტანაშვილი და სხვ.

ინსტიტუტში არსებობს სამი ფაკულტეტი — სამსახიობო, სარეჟისორო და თეატრმცოდნეობისა. სამსახიობო ფაკულტეტს აქვს განყოფილებები, კერძოდ დრამის, კინოსა და მუსიკალური კომედიისა. სარეჟისორო — აერთიანებს დრამის სარეჟისორო და სარეჟისორო-საბალეტმაისტერო განყოფილებას. ინსტიტუტში აღზრდილი კადრები მოღვაწეობენ ჩვენი ქვეყნის დრამატულ და მუსიკალურ თეატრებში. ზოგიერთმა მათგანმა კინემატოგრაფიაშიც თქვა მკაფიო სიტყვა. ბევრნი კი აქტიურად მოღვაწეობენ თეატრალური კრიტიკის სფეროში, ტელევიზიასა და რადიოში.

თბილისის თეატრალურმა ინსტიტუტმა წლების განმავლობაში ბევრი თვალსაჩინო აქტიორი, რეჟისორი და თეატრმცოდნე აღუზარდა ჩვენს ხალხს.

უთუოდ საჭირო და სასარგებლო ღონისძიებას წარმოადგენს ის, რომ ინსტიტუტში არსებობს სპეციალური განყოფილებები, სადაც თეატრალურ ოსტატობას ეუფლებიან აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან ჩამოსული ახალგაზრდები.

ინსტიტუტი სიყვარულით შეხვდა ჩრდილოეთ კავკასიიდან, კერძოდ დაღესტნიდან, ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს (ამჟამად ჩვენთან ხუნძების, ყუმუხების, ყარაჩაელებისა და ჩერქეზების მესამე ნაკადი სწავლობს). სამი წლის წინ გამოშვებულ იქნა რუსული ჯგუფი. ჩვენი პედაგოგები ძალღონეს არ იშურებენ, რომ მათ გადასცენ მთელი თავიანთი ცოდნა და გამოცდილება. ჩვენი ინსტიტუტის დიდ ოჯახში სწავლობენ და იღვწიან სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდები. აქ ყალიბდება თვითეული მათანის შემოქმედებითი ინდივიდუალობა. თეატრალური პედაგოგიკა ემსახურება მათი, როგორც მომავალი აქტიორების, რეჟისორების, თეატრმცოდნეების ტალანტის გამოვლინებას, აქტიორული მონაცემების ნაირსახეობათა დახვეწას და რეჟისორულ შესაძლებლობათა სრულყოფას, ახალგაზრდების იდეურ-პოლიტიკური და მხატვრული კორიზონტის გაფართოებას. ჩვენ ვცდილობთ ისე წარმართოთ მუშაობა, რომ სტუდენტებს საშუალება აქონდეთ სინამდვილე ასახონ მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, სოციალისტური ეთიკის, მორალის პოზიციებიდან. ჩვენი პედაგოგების მოწოდებაა მაღალ დონეზე იდგეს სპექტაკლის იდეურ-მხატვრული კაზრება, რეჟისურა, რათა სტუდენტს საშუალება აქონდეს იმოქმედოს ლადად, დრამად ჩასწვდეს პედაგოგის ჩანაფიქრს. სასიხარულოა, რომ უმეტეს შემთხვევაში ინსტიტუტის სცენაზე განხორციელებულ საკურსო და სადიპლომო სპექტაკლებს მაღალი შეფასება ეძლევა.

მსახიობებისა და რეჟისორების მომზადებას საფუძვლად უდვეს კ. სტანისლავსკის სისტემა და დიდი ქართველი თეატრალური მოღვაწეების შემოქმედებითი გამოცდილების ათვისება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რეპერტუარს. სხვადასხვა დროს აქ დადგმულა და ახლაც იდგმება მსოფლიოს, რუსული და ქართული დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშები.

მომდინარე წელს ლენინგრადში საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურმა ინსტიტუტმა მონაწილეობა მიიღო უმაღლეს თეატრალურ სასწავლებელთა დათვალიერებაში, რომელიც ვ. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. აქ, ახალგაზრდობის ამ თავისებურ ფორუმზე წარმოდგენილი იყო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლესი თეატრალური სასწავლებლის 11 სპექტაკლი. ჩვენმა სტუდენტებმა დათვალიერებაზე აჩვენეს ა. გეწაძის „წმინდანები ჯოჯოხეთში“.

ჟიურიმ მაღალი შეფასება მისცა ქართველი სტუდენტების აქტიორულ ღირსებას, სპექტაკლის იდეურ-მხატვრულ დონეს, პედაგოგების სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობას და ჩვენი ინსტიტუტის წარგზავნილები დიპლომით დაჯილდოდა. ყოველდღე ინსტიტუტის სასწავლო სცენაზე, სპეციალურად აღჭურვილ სასცენო მოძრაობის, გრიმის აუდიტორიებში, ბიბლიოთეკაში, რომლის ფონდში 21.000 წიგნი ინახება, აგრეთვე სამსახიობო, სარეჟისორო, თეატრმცოდნეობისა და მარქსიზმ-ლენინიზმის კაბინეტებში მომდინარეობს დაძაბული, შემოქმედებითი შრომა, აქ ახალგაზრდობა, ჩვენი თეატრის მომავალი ეუფლება თეატრალური ხელოვნების ურთულეს საიდუმლოებებს.

სამ კათედრაზე მუშავდება ისტორიული, თეორიული და სასწავლო-მეთოდური საკითხები. მზადდება სახელმძღვანელოები, საკარჯიშოები, პროგრამები. სამეცნიერო მუშაობა წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. ინსტიტუტში ყოველ წელს იმართება სამეცნიერო სესიები, სადაც ირჩევა წლის განმავლობაში პროფესორ-მასწავლებელთა მიერ შექმნილი შრომები. სამეცნიერო მუშაობაში დიდი ადგილი ეთმობა აგრეთვე როგორც რევოლუციამდელი, ისე შემდგომი დროის ქართული თეატრის ისტორიის შესწავლას. ქართული თეატრალური კოლექტივების შემოქმედებითი გამოცდილების, ჩვენი თვალსაჩინო თეატრალური მოღვაწეების ოსტატობის გაცნობასა და სხვ.

ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ინსტიტუტში დაცულ იქნა სამი სადოქტორო და ათი საკანდიდატო დისერტაცია, გამოქვეყნდა ბევრი სამეცნიერო შრომა.

ჩვენი თეატრალური ინსტიტუტი, რომელიც დიდი შოთა რუსთაველის სახელს ატარებს, ახალი შემოქმედებითი გამარჯვებებით ხვდება თავისი არსებობის 30 წლისთავის საპატიო თარიღს. ამ დიდ ზეიმზე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან ალბათ გვესტუმრებიან ჩვენი მეგობრები, კოლეგები. იუბილეს მიეძღვნა სპეციალური სესია, სადაც მოსსენებით გამოვიდნენ ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები.

იუბილარმა ინსტიტუტმა თავისი არსებობის მოკლე ხნის მანძილზე შეძლო შეასრულებინა დიდი მნიშვნელობის მისია ერის თეატრალური კულტურის წინაშე. ჩვენ გამაყობთ, რომ, აქ, ამ კედლებში აღზრდილ, უკვე სახელმოხვეჭილ თეატრალურ მოღვაწეებს მაღლა უჭირავთ ქართული თეატრის დროშა.



რა მამაცი ხალხია ეს მთამსვლელები, იფიქრებს კაცი, როცა ამ სურათს შეხედავს. მაგრამ აქ აღებეტდილი ადამიანები მთამსვლელები არ გეგონოთ. ისინი ენგურჰესის მშენებლები — ამფეთქებლები არიან, ეს პროფესია ამ მამაცი ადამიანებისაგან მოითხოვს სრულყოფილად ფლობდნენ კლდეზე ცოცვის ხელოვნებას.

ფოტო ბ. ბოგოსიანი.

ჩ ვ ე ნ ს ა რ ე-ბ ა რ ე ბ ი

◆

ეცნობიან მშობლიურ მ ხ ა რ ე ს

ახალციხე. (საკ. კორ.). აქატ-დიატომიტის მაღაროთა სამმართველოს შურდოს უბნის კოლექტივმა მშობლიური მხარის გასაცნობად მოაწყო ექსკურსია საქართველოს სხვადასხვა რაიონში.

ექსკურსიის მონაწილეებმა გორში ინახულეს ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი, შემდეგ ეწვივნენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს. დათვალიერეს ქალაქ ცხინვალის ღირსშესანიშნავი ადგილები. საქართველოს მაღალმთიანი რაიონების ონისა და ამბროლაურის გავლით ექსკურსანტები ესტუმრნენ მეშახტეთა ქალაქ ტყიბულს. შემდეგ ინახულეს გელათი, ქუთაისში დათვალიერეს ბაგრატის ტაძრის ნანგრევები და ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა.

ამ საინტერესო ექსკურსიის მარშრუტის დასასრულს აქატის მომპოვებლები ეწვივნენ ენგურჰესის მშენებლობას, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე.

□

პრემიერა ბათუმის თეატრში

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა პრემიერა — ალ. ჩხაიძის ორმოქმედებიანი პიესა „ზღაპარ იყო...“

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის ე. ჩაიძეს, მხატვრობა — აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ა. ფილიპოვს, მუსიკა — გ. ნოღაიდელს.

□

შემთხვევა

ნორჩი სიცოცხლე გაღარჩა...

ქუთაისელ ზ. ადამაძეს ერთობ ძვირად დაუჯდა დაუდევრობა, როცა სახლიდან წასვლისას შინ, ორი წლის ბავშვთან ერთად გამოურთველი ელექტროქურა დატოვა.

მალე ხუნდაძის ქუჩაზე მდებარე № 19 სახლი ცეცხლის ალში გაეხვია. მეზობლებმა ყვირილი მორთეს, ყველა ღელავდა, მით უფრო, როცა გაიგეს, ბავშვი შინ იყო და პატარას სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. მაგრამ ვერავინ გაბედა ალმოდებულ სახლში შეხვლა. სახანძრო რაზმის მოსვლამდე კი დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. ბედად იქვე გაჩნდა ქუთაისის № 4 სამკერვალო ფაბრიკის მუშა მ. ეგუტიძე, რომელიც მყისვე შევარდა სახლში და ბავშვი ცეცხლის ალს გამოსტაცა. სახლი დაიწვა, მაგრამ ნორჩი სიცოცხლე გადარჩა.

ბ. გურგენიძემ დაამარცხა მ. ტალი

გუშინ დილით გადადებული პარტიების დამთავრებისას დ. ბრონშტეინმა წააგო ე. გუფელდთან. ამ პარტიაში მოსკოველმა გროსმაისტერმა ჯერ მოგება გაუშვა ხელიდან, შემდეგ — ყაიმიც. ლ. შამკოვიჩ-რ. ჯინჯიხაშვილის პარტია გადაიდო მეოთხედ (!) საქართველოს ჩემპიონმა გაზარდა თავისი უპირატესობა და ახლა უკვე მოგების რეალური შანსები აქვს. რ. ხოლმოვ-ვ. პორტის პარტია მესამედ გადაიდო.

მეოთხე ტურის ცენტრალური პარტია უდავოდ იყო ბ. გურგენიძე-მ. ტალის შეხვედრა. სიცილიური დაცვის წინააღმდეგ ქართველმა მოჭადრაკემ აირჩია მის მიერ დეტალურად დამუშავებული ვარიანტი. თეორებმა ერთგვარი პოზიციური უპირატესობა მიიღეს. შუა თამაშში ბ. გურგენიძემ უარყო მეტოქის მიერ შეთავაზებული ყაიმი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი შეეცადა პაიკების დათმობით გამოესწორებინა მდგომარეობა, მაგრამ ამაოდ. ენდშპილში გურგენიძემ არა მარტო შეინარჩუნა ორი ზედმეტი პაიკი, არამედ უკეთესი პოზიციაც. 38-ე სვლაზე მ. ტალი დანებდა.

დ. ბრონშტეინმა შავებით კარო-კანის დაცვას მიმართა რ. ჯინჯიხაშვილთან. მდგომარეობის საგრძნობი გამარტივების შემდეგ მოსკოველმა გროსმაისტერმა ყაიმი შესთავაზა მეტოქეს. საქართველოს ჩემპიონს რამდენადმე უკეთესი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ მაინც არჩია დაზავება. ასეთივე შედეგით დასრულდა ვ. პორტ-ე. გუფელდის, ა. სუეტინ-ლ. შამკოვიჩის, ე. ბაგ-რ. ფუქსისა და რ. ხოლმოვ-ვ. ჩოკილტიას პარტიები. პირველი გამარჯვება იზეიმა ა. ლეონმა, რომელიც ე. კოსტროს ეთამაშებოდა.

ოთხი ტურის შემდეგ შეჯიბრებას სამი ლიდერი ჰყავს: სამ-სამი ქულა მოაგროვეს გროსმაისტერებმა ა. სუეტინმა (მოსკოვი); ე. გუფელდმა (თბილისი) და საერთაშორისო ოსტატმა ბ. გურგენიძემ (თბილისი). 2,5 ქულა და ერთი, უკეთეს პოზიციაში გადადებული პარტია აქვს ოსტატ რ. ჯინჯიხაშვილს.

ბ. ბამრეკელი.

სხვა ადამიანთა რამ ფეხგურთზე

პენალტი 14 მეტრიდან?

ფეხბურთში ყველაზე მკაცრი სასჯელია 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა. ეს თითქმის ასპროცენტიანი გოლია, მაგრამ ზოგჯერ ხომ ხდება, რომ გუნდი ასე მკაცრად ისჯება, ხოლო შემდეგ კიდევაც მარცხდება.

იქნებ ამიტომ ბრაზილიის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ჟოაო სალდანიამ წინადადება წამოაყენა... სამი მეტრით გადიდოს არსებული პენალტის დისტანცია კარის ხაზიდან ბურთამდე. მისი აზრით, მოხვედრების კოეფიციენტი მთელი 20 პროცენტით შემცირდება.

ამის დასამტკიცებლად სალდანიამ მოაწყო ექსპერიმენტი ნაკრების მეკარის ფელიქსისა და სატკეთესო ბრაზილიელი სნაიპერების მონაწილეობით, რომელთაგან თვითეულს უფლება მიეცა ათჯერ შეესრულებინა 14-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა. პელემ და ტოსტამ მიზანში მოახვედრეს მხოლოდ ექვს-ექვსჯერ, რეველინიომ — 5-ჯერ და გერსონმა — 4-ჯერ.

მოედანზე — ორი მსაჯი

„ფეხბურთი წლითიწლობით აძლიერებს ტემპებს, ზოგჯერ მეტად მკვეთრი ხდება. სავსებით ბუნებრივია, რომ ერთ მსაჯს უჭირს თვალყური ადევნოს ყველა პერიპეტიას მწვანე მოედანზე. დადგა დრო ვატარებდეთ თამაშს ორ მსაჯით“, — ასეთი განცხადება გაკეთა ცნობილმა შვედმა არბიტრმა ეინარ ბუსტიომმ.

დიახ, წინადადება აშკარად საყურადღებოა. და შემთხვევითი როდია, რომ მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის სსრ კავშირშიც უკვე მოეწყო ექსპერიმენტული მატჩები მსაჯების დუეტით.

ასპარეზობათა კალენდარი

● **კიევში** გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მორიგი შეხვედრა კრივში. უკრაინის ნაკრებმა დაამარცხა სომხეთის გუნდი ანგარიშით 6:3 და ფინალში გავიდა, სადაც დასკვნითი მატჩი ექნება რსფსრ-ს მოკრივეებთან. გუშინ ეს შეხვედრა მოიგეს რსფსრ-ს მოკრივეებმა და თასი მოიპოვეს.

● **დამთავრდა** საქართველოს პირველობის გათამაშება ოლიმპიურ სატრირის ოსტატი“ გივი ლომიძე, 19.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა — „ბუნების კარი“, 20.00 — ქუთაისის საოპერო თეატრის გასხმა. ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ (ტრანსლაცია ქუთაისიდან). შესვენების დროს — მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა.



21 დეკემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — რუსლან და ლიუდმილა (დღისით), განთიადი (საღამოს, 28-ე აბონ. მე-6 წარმოდგენა); **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — მზიანი ღამე (დღისით და საღამოს); **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — სამანიშვილის დედინაცვალი (პრემიერა, დღისით და საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ფეოლა (დღისით), მთვარის მოტაცება (საღამოს); **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — მეცხრე ტალღა (დღისით), ჯაზ-ანსამბლი საშა სუბოტის ხელმძღვანელობით (საღამოს); **კონსერვატორიის დიდი დარბაზი** — კონცერტი ლექცია „ლენინი და მუსიკა“ (№ 1, 2, 3, 5 აბონ. დღის 3 სთ., № 6, 7, 8, 9 აბონ. საღ. 5 სთ.); საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის პლენუმი — სიმფონიური კონცერტი (საღ. 8 სთ.); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — წითელქუდა — (№ 41 აბონ. 11 სთ. და 30 წ.), ძია ელიოზი (№ 53 აბონ. 5 სთ. და 30 წ.).

21 დეკემბერი

ოქტომბერი, საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი, გზაფხული, გორკის სახელობის კულტურის სახლი, ვარძია, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — **მტაცებლების ნადიმი;** ამირანი, საქართველო (მწვანე დარბაზი), სპარტაკი, ყოლხიდა — **ანგელიკა — ანგელოზების მარკიზი;** 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — **განთიადი;** 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), ბათუმი — **წარსული ბრუნდება;** თანამგზავრი, კომკავშირელი, ნაკადული — **აგენტი უნბლიეთ** (I, II სერია); ყაზბეგი (მეორე დარბაზი), კოლმეურნე — **სამართალში ვერ მიიცემა;** სპორტი — **განგა და ჯამნა** (I, II სერია); ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — **დედათა მონასტერი;** ეკრანი — **სერენადა დიდი სიყვარულისა.**

რედაქტორი

დ. მჰედლიშვილი.

22 დეკემბერი

პირველი პროგრამით

06.05— უკანასკნელი ცნობები, 06.35—ვ. გოკიელი. პირველი საორკესტრო სიუიტა, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — დილის კონცერტი, 08.10 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები, 09.25 — ქართული კამერული მუსიკა, 11.05 — შ. ლეკოკი. ფანტაზიები ოპერეტებიდან, 11.45 — ა. კერესელიძე. ნაწყვეტები ოპერა „ბერეზაღან“, 12.10 — საუბარი „ქართველი ენერგეტიკოსები — სახალხო მეურნეობას“, 12.25 — ბეთჰოვენი. მესამე საფორტეპიანო კონცერტი, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „საუკეთესო ნიშანი“, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — მღერის ანსამბლი „მადრიგალი“, 19.00 — ნარკვევი „ენერგეტიკოსები“, 19.15 — ქართველ კომპოზიტორთა საორკესტრო პიესები, 19.45 — შ. მილორავა. სიმღერები, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — კომპოზიცია „თავისუფლების ნალარა“, 22.00 — კიშინიოვის მუზიჩესკუს სახელობის ხელოვნების ინსტიტუტის სტუდენტთა კონცერტი, 22.50 — ე. ბალსისი. ფრაგმენტები ბალეტ „ეგლეედან“, 23.30 — ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „ორერას“ კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.



● **კვირა, 21 დეკემბერი**

10.30 — ბავშვებისათვის — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ვიორეი საკაძე“ (I, II სერია), 14.40 — „ოქროს მატჩი“ (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 15.30 — კინოპროგრამა, 16.00 — „კინოფიშა“, 16.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა. საერთაშორისო ტურნირი ციგურებით ფიგურულ სრიალში. საჩვენებელი გამოსვლები (გადმოცემა მოსკოვიდან). შესვენების დროს — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — „ნახევარი საუკუნის მატიანე“ — 1945 წელი, 21.00 — კინოლექტორიუმი. მხატვრული ფილმი „შესანიშნავი შვიდეული“ (I, II სერია), 23.15 — საეს ტრადი გასართობი პროგრამა.

● **ორშაბათი, 22 დეკემბერი**

11.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ბავშვებისათვის — „ითამაშეთ ჩვენთან ერთად“ (გადმოცემა კიშინიოვიდან), 11.45 — იუმოსლავური მხატვრული ფილმი „კოზარა“ (I, II სერია), 18.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — გადაცემა ბავშვებისათვის — „ჯადოსნური საღებავი“, 18.35 — განცხადებები, 18.40— გადაცემა „გულრიფშელ მეტყველებთან“, 18.50 — კინონარკვევი, 19.00 — გადაცემა ციკლიდან „ქართველი კომპოზიტორები“ — აკაკი ანდრიაშვილი, 19.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.15 — კრონინი. სატელევიზიო სპექტაკლი „იუბილერი იცინის“ (საქართველოს ტელევიზიის დადგმა).

საესტრადო მუსიკის მოყვარულებს

ცენტრალური და **საქართველოს** ტელევიზია **ხუთშაბათს,** 25 დეკემბერს **22 სთ. 15 წ.** სთავაზობს საქართველოს ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ORERAS“ კონცერტს.

● **სამშაბათი, 23 დეკემბერი**

11.00 — კინოპროგრამა, 11.40 — მხატვრული ფილმი „პეტერბურგის ღამე“, 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — განცხადებები, 18.10 — „ცეროდენას ეკრანი“, 18.40 — „მოდი, ერთად ვიმღეროთ“, 19.00 — კინონარკვევი, 19.10 — მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შემსწავლელთა დასახმარებლად, 19.30 — საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი, 20.00 — სპორტული პროგრამა, 21.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.55 — „რთველი დეკემბერში“, 22.10 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „საბატიო ჯილდო“, 22.30 — „ეკრანის ოსტატები“ — ვსევოლოდ პუდოვკინი (გადმოცემა მოსკოვიდან).

● **ოთხშაბათი, 24 დეკემბერი**

11.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინოპროგრამა, 11.45 — მხატვრული ფილმი „დრო ვატარებდეთ“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.20 — განცხადებები, 18.25 — „კოკონი“, სატელევიზიო ჟურნალი, 18.55 — „ჩვენი კინოდარბაზი“, 19.15 — „მოწინავე გამოცდილების სკოლა“ — „აგროკემიური სამსახურის როლი სასუქების რაციონალურად გამოყენების საქმეში“, 19.35 — კინონარკვევი, 19.45 — გადაცემა „დაავკვირდით ამ დოკუმენტებს“, 19.55 — ლ. ქიაჩელი. სატელევიზიო დადგმა „უჩინარა“.. პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 20.20 — კინონარკვევი, 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — „მღერის მერი შილდელი“, 21.45 — მხატვრული ფილმი.

● **ხუთშაბათი, 25 დეკემბერი**

18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.25 — განცხადებები, 18.30 — სამეცნიერო-პოპულარული გადაცემა, 18.50 — გადაცემა ციკლიდან „ხალხური სიმღერის ოსტატები“ — ვლადიმერ ერქომაიშვილი, 19.30— „მსოფლიო ხელოვნების საგანძური“, 20.00 — სპორტული პროგრამა, 21.30 — კინონარკვევი, 21.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.15 — „მეგობრობის კონცერტი“ — გამოდის საქართველოს ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ორერა“ (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის).

● **პარასკევი, 26 დეკემბერი**

11.00 — კინოპროგრამა, 11.40 — მხატვრული ფილმი, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.20 — განცხადებები, 18.25 — „ვინ უკეთ, ვინ სწრაფად“, 18.55 — „მოდი ერთად ვიმღეროთ!“, 19.10—გადაცემა „კანონი და კანონიერება“, 19.40 — კინონარკვევი, 19.50 — გადაცემა „ეკრანი იკრებს მეგობრებს“, 20.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა .21.15 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა.

● **შაბათი, 27 დეკემბერი**

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — „იყავით ბედნიერნი!“ — მუსიკალური გასართობი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — კინოპროგრამა, 12.00 — „ტელეპანორამა“, 17.05 — ახალი ამბები, 17.10 — „რატომ, საიდან, რისთვის“, 17.45 — „ნატვრის ხე“, 18.00 — მაღალ ადეიშვილის თასზე მოფარიკაკეთა ასპარეზობის ფინალური შეხვედრების რეპორტაჟი კიროვის სახელობის პარკის საფარიკაო დარბაზიდან, 18.45 — „ოქროს ფონდი“ — „ბუნების ბიბლიოთეკა“ — „ბუნების ბიბლიოთეკა“ — „ბუნების ბიბლიოთეკა